ხუთშაბათი, 25 იანვარი, 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 17.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

სულმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და ეპიგრამებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები—ჩერილოთ ბასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Гифисъ, редакція „ИСАРИ“

მდვდელი ლაზარა მიხეილის ძე ნათიძე შვილებითურთ, აუწყებს .რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ყაზახში საყვარელ მეუღლის

თეგრონია აგრამის ასულისას,

სთხოვს მობრძანდნენ დაკრძალვაზედ ს. მელაანში წმ. სამების ეკლესიის გალავანში შაბათს, 27 იანვარს. პანაშვიდი ყოველ დღე დილა-საღამოს.

(1—505—1)

გრიგოლ დიასამიძე აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ დღეს, 25 იანვარს, შუადღის 12 საათზე იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიაში (ყორღანოვის ქუჩის ბოლოშია) უდროოდ გარდაცვალებულის მისი **მეუღლის**

სოფიოს, დიმიტრი ხიმშიაშვილის ასულის

სულის მოსახსენებლად ნახევარ-წლის შესრულებისა გამო გარდაცვალების დღიდან გარდახდილ იქმნება პანაშვიდი. (1—507—1)

უგან. თავადის გრიგოლ დადიანის

პ რ ე მ ი ა

§ 1. უგანათლებულესის თავადის გრიგოლ დადიანის პრემია—400 მანეთი მიეცემა მას, ვინც შეადგენს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას: 1) საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ, 2) ქართულის ენის შესახებ და 3) ქართული ძველის ან ახალის მწერლობის შესახებ.

§ 2. თხზულებას საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელის წარსულის ცხოვრებისა ანუ რომლისამე მის ეპოქისა, 2) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა, 3) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა, 4) სამხედრო ისტორია, 5) იურისპრუდენცია, 6) მითოლოგია.

§ 3. თხზულებას ქართულის ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ისტორიული გრამატიკა ქართულის ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, 2) შედარებითი გამოკვლევა ქართულის ენის შტოებისა, 3) გამოკვლევა ქართულის ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4) ქართულის ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, 5) ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკონი, 6) უცხო ენებთან მონათესავე ქართულის სიტყვების ლექსიკონი, 7) უცხო ენათაგან შემოსულის სიტყვების ლექსიკონი.

§ 4. თხზულებას ქართულის მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ქართულის წერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, 2) ერთ-ერთის მწერლობის დარგის სრული, ან რომლისამე ეპოქის ისტორია, 3) ერთ-ერთის ან რამდენსამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ-მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, 4) დამოკიდებულება ქართულის მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისამ ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, 5) სახალ-ხო სიტყვიერების გამოკვლევა.

§ 5. საკონკურსო თხზულება უნდა იყვეს დაწერილი ქართულად.

§ 6. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობაში 1910 წლის 1 იანვრამდე.

§ 7. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოთ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1907 წელზედ ადრე გამოცემული. (2—უ.—2)

SALON „MODES“

სამკერვალო

ვიბულობთ და ვასრულებთ წესიერად, თავის დროზე, ყოველნაირ დაკვეთას

ქალთა ტანისამოსისა

ვვექნება მრავალნაირი ნიმუშები „მატერიებისა“

ახალ-ახალ მოდაზე

როგორც საკაბე, ისე საპალტოვე და ყოველნაირი ბაფთები (კრუჟევა) და სხვა მასალა მათდა გასაწყობად.

მსურველთ ვასწავლით ჭრა-კერვას და ქარგვას.

სერგიევის ქუჩაზე მირზოევის სახლში № —9 (სოლოლაკი). (50—64—49)

ძმათა ნიკიტინების ცირკი.

ხუთშაბათს, 25 იანვარს, გაიმართება დიდი და საუცხოო წარმოდგენა. გასტროლი. ევროპაში ცნობილ მეველოსიპედეთა ძმათა **ეფიმოვებისა** (მოწვეული არიან მხოლოდ რამდენისამე დღით). უშიშარი ცხენოსნობა, კალათში, «სიკვდილის წრეში»; სასწაული მე-19 საუკუნისა. ძაღლი ფენომენი, უკრავს თავისით ფისგარმონზე. აგრო და როტერი. თუ გინდათ დარწმუნდეთ, მოდით ცირკში. მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს. დასასრულ **ბალეტი „ნ ი მ ფ ა“**; მონაწილეობს მთელი ბალეტი და პრიმაბალერინა რუმიანცევა.

ა ნ ო ნ ს: კვირას, 28 იანვარს, გაიმართება ორი დიდი წარმოდგენა; დილისა—განსაკუთრებით ბავშვების და მოწაფეების სასიამოვნოდ, დაკლებულის ფასებით.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. (ხალ.—503—1)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

მიხეილ აგაკიანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.

ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ა. ცაცევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადყოფობანი.

ი. გ. ავეტისოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

მ. ბ. კიმონტი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

ბ. ა. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—12)

ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოღგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიიღება ყოველ დღე.

ექ. პასხუდაგოვი—ნერვებისა და სელექტროწამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

ექ. მელიქ-ეინათოვი—ვენერიული, კანისა და სუშარდე 9½—11 ს.

ექ. რამენდიკი—შინაგანი 10½—11½ ს.

ექ. ზაკრევსკი—ქალისა და სბებიო 11—12 საათამდე.

ექ. ქალანაროვი—თვალისა 1—2 ს.

ექ. კილოსანიძე—ქირურგიული 12—1 ს.

ექ. ბარციკევიჩი—ბავშვისა 12—1 ს.

ექ. შერეიბერი—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

ექ. გაპურგერი—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა ბარღისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-ბარიგემა 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები ბორიგემთ.

სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი. (100—85)

ექიმი

ბ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა.** მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრო., № 36, სახ. ჯავჯანიძისა (25—14)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ყანჩის დიდი ქუჩა, № 5.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ტ. ი. რუდენკო—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

ექ. ზ. ი. იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. ზ. ანპინოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. ვ. გ. ბოდოვსკი—შინაგანი წამლობა ხთავგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თეთრაძე—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ა. ი. პავლიცკი. ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

ექ. ა. ა. მონსე—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ფ. როზმაინსკი—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. ნეუიმინი—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ვ. ი. ნნაევ.—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

ექ. ზ. ფ. ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. ზ. ი. გოროდეცევ. მასსაჟი 11—4 ს.

ექ. კ. ზ. პივარსკი
ექ. კ. ი. ჩუდნოვსკი | კლინიკური ანალიზი.

ექ. გ. ი. ონობლო—საექიმო გინეკოლოგია, მაჯი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—43)

მედიცინის დოქტორი

ზ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი

რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორად იყო, იღებს საშარდს, ვენერიულ (სიფილისი) და კანის სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—12 საათ., საღამოთი 5—7 ს. სოლოლაკი, რტიშჩევის ქ., № 1, ცეცხლსმაქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (25—ხალ.—22).

თვალის ექიმი

ზ. ბ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლოს ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—19)

ლაბორატორიული ბაქტერიოლოგიური

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—57)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—17)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—28)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. ეკლესიის ქუჩა № 9. (თვ.)

ცალ-ქმართა

განქორწინების საქმეს ვაწარმოებ კონსისტორიებში, ვწერ თხოვნებს და ვადგენ ყოველნაირ არზებს ზომიერ ფასად.

პირადად ნახვა შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. წერილით მიმართა შეიძლება ამ ადრესით: ავლაბარი, შემახის ქუჩა. თ. ზ. ნასიძე. (6—4)

ქ. ქ უ თ ა ი ს ს ი

თებერვლიდან გამოვა ყოველ კვირეული ქართული გაზეთი

„გრდემლი“

გაზეთი იქნება უპარტიო, პროგრესიულ მიმართულებისა. (6—6)

ქართული წარმოდგენა

სახალხო თეატრში

ხუთშაბათს, 25 იანვარს, 1907 წ.

ბენეფისი **ტასო აბაშიძისა**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

პეპელათა გრძალა

კომედ. 4 მოქ. თხზ. ზუდერმანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

II

მუსიკა და ლიტერატურა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. **შულგინა-მესხი, ზარიამ ძნელაძე, თამარ ძნელაძე** (სკრიპკა), ბ.ბ. **ტომაშევიჩი, ცხომელიძე, ნიკ. ერისთავი, ადამიძე, ურუშაძე, გელევანოვი და აბაშიძე.**

აკომპანიატორები: ქ.ქ. ტომაშევიჩისა, გვარჯელაძე და ბ. ფალიაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

(3—უ.—2) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

სახალხო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა

ხარსკოვს, 26 იანვარს 1907 წელს

დანიშნულია **ბენეფისი მ. დუბროვსკაიასი.**

შესრულებული იქნება პირველად ამ სეზონში

ზ ა ზ ა

ოპერა 2 მოქ. ლენკოვალესი.

შაბათს, უკანასკნელი გასტროლი ვან-ბრანდტისა: **„ტრავიატა“.**

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი **ბ. დუნაევსკი.**

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშაძე.**

ბადი და თეატრი „რენესანსისა“. ხარსკოვს, 2 თებერვალს, 1907 წ. ბენეფისი ვ. ჩუბინოვისა. წარმოდგენილი იქნება

დიდი მარცხვი

აღებული ბილეთები 26 იანვრისა გამოდგება ამ წარმოდგენაზედ.

დასაწყისი საღამოს, 7 საათზე.

(1—506—1)

ტფილისი, 25 იანვარი.

რამდენისამე დღის წინად ჩვენ ვწერდით, რომ «პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს» ცნობებში არჩევნების შესახებ თადლითობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომ სააგენტო განზრახ ამახინჯებს ცნობებს, რათა მისთვის სასურველი შთაბეჭდილება შეჰქმნას, ვითომ მეპარჯვენენი იმარჯვებენ და ოპპოზიცია მარცხდება. ეს აზრი სრულიად მართალი გამოდგა და ახლად მოსული, სატელეგრ ქალაქების ცნობები სრულიად სხვა სურათს გვიხატავენ საარჩევნო კამპანიის შესახებ.

რუსული გაზეთები სავსეა დეპეშებით საკუთარის კორესპონდენტებისაგან, რომელნიც განმეორებით აცნობებენ გაზეთებს—ტყუილია სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ცნობები, ვითომ რეაქციონერები იმარჯვებენ. გარდა ამისა, ზოგიერთ გაზეთს გარეშე სანდო პირებისათვის მიუმართავს თხოვნით—გაგვაგებინეთ შედეგი არჩევნებისა თქვენს რაიონშიო და მათგანაც მოსვლიათ უტყუარი ამბები, რომელნიც დანამდვილებით მოწმობენ ოპპოზიციის გამარჯვებას. საკუთარ კორესპონდენტების და გარეშე პირთა ცნობების მიხედვით გაზეთ «რეჩ»-ს შეუდგენია ცხრილი, რომლიდან სჩანს, რომ 18 იანვრამდე შიდა რუსეთში 457 გლეხთა რწმუნებული აურჩევიათ; ამათგან არა ნაკლებ ⅔-სა (70%) ოპპოზიციას ეკუთვნის. ყველა მეპარჯვენე პარტიას ეკუთვნის 77 რწმუნებულიო, 14 ზომიერია, 2 ოქტობრისტი და 43 უპარტიო, დანარჩენი—300-ზედ მეტი სულ მეპარცხენენი არიანო, ამგვარივეა ცნობები წვრილ მემამულეთა შესახებაც: 18 იანვრამდე სულ აურჩევიათ 461 რწმუნებული, აქედან 250-ზედ მეტი ოპპოზიციის წარმომადგენელნი ყოფილან, დანარჩენებიც უმეტესობა ზომიერია და სულ ცოტა რეაქციონერი.

გაზეთებში მოყვანილია საუცხოო ნიმუშები ოფიციალურ სააგენტოს მიერ ცნობების დამახინჯების შესახებ, მაგრამ ჩვენ იმათ არ მოვიყვანთ, რადგან ადგილობრივაც გვაქვს მზგავსი მარგალიტები. გუშინდელ დეპეშებში, მაგალითად, გვაუწყეს, რომ ზუგდიდის მაზრაში სამი მოწინარსიტი აირჩიესო. მკითხველებმა იციან, რომ ზუგდიდის მაზრაში ყველა არჩეულნი მეპარცხენე პარტიებს ეკუთვნიან და «მოწინარსიტების» ხსენებაც არ ყოფილა იქაურ საარჩევნო კრებაზე. საიდანღა შეთხზა «პ. დ. სააგენტომ» ასეთი უცნაური ცნობა? «რეჩ»-ი ამბობს, რომ სააგენტოს ამგვარ ცნობებს აწვდიან სოფლის მამასახლისები და სხვა მოხელეები. უეჭველია, ადმინისტრაციას ძალიანა ჰსურს ძალლ სფერების გულის გახარება და წარმეურნეველად მოგონილ ამბებს უგზავნის. ეს ძველის-ძველი ხერხია ბიუროკრატიისა; მისთვის „все обстоитъ благополучно“ საუკეთესო დევიზია, რომლით მოხერხებულად სარგებლობს უმაღლეს მთავრობის თვალის ასაბმელად...

მაგრამ «სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს» და მალალ წრეებშა უკვე იციან, რომ არჩევნების საქმე «ცუდათ» მიდის, სრულიად სხვარიგად, ვიდრე ოფიციალური სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩაგონებით, ირწმუნება. მართალია, ჯერ საბოლოოდ საქმე არ გადაწყვეტილა, მაგრამ ის მაინც ნათლად სჩანს, რომ მთავრობის მოლოდინი არ გამართლდება. რუსეთის ხალხი არ მოტყუვდა და შესაფერისად დაუფასებს მთავრობის ყოველ ცდას, განძათავისუფლებელ მოძრაობის შესაჩერებლად მიღებულს უკანასკნელ შვიდის თვის განმავლობაში.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ჩ ვ ე ნ ი

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ. რედაქტორო! გთხოვთ უახლოეს №-ში დამიბეჭდოთ შემდეგი:

ქუთაისში გამოცხადდა ორი სია, რომლებშიაც აღნიშნულია სახ. სათათბიროში ამომრჩეველთა კანდიდატები. ორთავე ამ სიაში, სხვათა შორის, მეც ვარ დასახელებულ კანდიდატად. ერთი სია ეკუთვნის ჩემს იდეიურ ამხანაგებს, მეორე—ქუთათურ ვაჭრებს.

სხვა და სხვა გაუგებრობისა და პარტიულ მითქმა მოთქმის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ამრჩეველთა არც ერთს წრესთან მიდლაპარაკება და არც შეთანხმება არ მქონია, გარდა იმ ჯგუფისა, რომელმაც წამოგვაყენა კანდიდატებად ბ.ბ. ქიქოძე, დათეშიძე, გობეჩია და მე; ამასთანავე ისიც უნდა ვაღიარო, რომ არა მაქვს-რა იმის საწინააღმდეგო, რომ სხვა ამრჩევლებმაც მომცეს ხმა, თუ-კი მათაც შესაფერის კანდიდატად მივაჩნივარ.

მიიღეთ და სხვა **გიორგი ზდანოვიჩი**

ქუთაისი. გვატყობინებენ დაწვრილებით ცნობებს არჩევნების შესახებ. შორაპნის მაზრაში არჩეულ იქნენ: მემამულეთა მხრით: გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, თეოფილე ხუსკივაძე; გლეხთა მხრით: დარისპან ცუცქირიძე, ვასილ კაპანაძე. ალექსანდრე მეტონიძე, სერგი მერკვილიშვილი, ესტატე დეკანოსიძე; ოზურგეთის მაზრაში მემამულეთა მხრით: გერასიმე მახარაძე, ვიკენტი ლომთითაძე; გლეხთა მხრით: არისტრახო კალანდაძე, სამსონ მურვანიძე; ქალაქის მხრით: სვიმონ გრიაზნოვი;

სენაკის მაზრაში მემამულეთა მხრით: გიორგი გამსახურდია, კოსტანტინე თოფურიძე; გლეხთა მხრით: ერასტო ბესელია, სილიბისტრო გაგუა, არტემ კვიბზარაძე;

რაჭის მაზრაში მემამულეთა მხრით: დავით ჯაფარიძე, ყაფლან ჩიკვაიძე; გლეხთა მხრით: მეთოდე მიკაუტაძე; თეიმურაზ ჭელიძე;

ზუგდიდის მაზრაში მემამულეთა მხრით: ანჩაბაძე; იონა მეუნარგია; გლეხთა მხრით: კისია, შონია, იასავა; ქალაქის მხრით—უშანგ ჯგუშია;

ლეჩხუმის მაზრაში მემამულეთა მხრით ოთარ დადეშქელიანი; გლეხთა მხრით: არჩეულთა გვარები ჯერ არ ვიცით.

ქ. ფოთის მხრით: საბახტარაშვილი; კილაძე;

ქუთაისის მაზრაში გლეხთა მხრით: ერასტო ბუაძე; ილია კობეიშვილი, გიორგი დონდუა, ფილიპე ფხაკაძე, დიმიტრი ბელიაძე;

ამ ნაირად, არჩეულია 38 ამომრჩეველ-

ლი, რომელთაგან ყოველ შემთხვევაში 25-27 კაცი ს.-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის.

—

სააგიტაციო კრებები. დღეს ტფ. საბჭოს დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათზე, დანიშნულია კრება მეოთხე ნაწილის ამრჩევლებისა.

ხვალ კიდევ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში, საღამოთი დანიშნულია 3 ნაწილის ამრჩევლების კრება.

—

ამომრჩევლის არჩევა მუშების მხრივ ტფილისში. დღეს, 25 იანვარს, დილის 4 საათისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მუშების რწმუნებულებისა ერთის ამომრჩევლის ამოსარჩევად.

რუსეთში

პეტერბურგი. კიევის გუბერნიის ლიპოვეცკის მაზრაში აარჩიეს 5 უპარტიო ზომიერი; ტარაშჩანსკის მაზრაში—7 უპარტიო, ჩიგირინსიაში—2 პროგრესისტი და 4 მემარცხენე, კანევსაში—4 ზომიერი და 3 მემარცხენე.

პერმის გუბერნიის ეკატერინბურგის მაზრაში აარჩიეს 4 მონარქისტი, ირბიტოსაში—2 მემარჯვენე 5 ზომიერი და მემარცხენე, კუნგურსკისაში—5 მემარჯვენე უპარტიო, ოსინსკისაში—15 ზომიერი, ოხანსკისაში—8 მემარჯვენე და 1 ზომიერი, სოლიკამსკისაში—1 მემარჯვენე და 2 მემარცნენე, პერმსკისაში—1 მემარჯვენე უპარტიო, 1 ზომიერი უპარტიო, არდინსკისაში—2 უპარტიო და 1 მემარცხენე.

ასტრახანის გუბერნიის ენოტაევის მაზრაში აარჩიეს—1 მემარჯვენე უპარტიო, 1—კონ.-დემ. თანამოაზრე, 1—მემარცხენე უპარტიო, კრასნოიარსკისაში—2 ოქტომბრისტი.

ბესარაბიის გუბერნიის იზმაილოვსკის მაზრაში აირჩიეს 6 უპარტიო.

ვორონეჟის გუბერნიის ბირიუჩის მაზრაში აირჩიეს 7 ზომიერი, კრემენეცკისაში—6 მონარქისტი.

მოგილიოვის გუბერნიის გომელის მაზრაში აირჩიეს 2 მონირქისტი, (2) მემარჯვენე უპარტიო და 1 მემარცეხენე უპარტიო, გორეცკისაში—3 უპარტიო მემარჯვენე, კლიმოვიჩსკასაში—4 მონარქისტი, მოგილევისაში—2 მემარჯვენე უპარტიო, ოპშანსკისაში—3 რუსის ხალხის კავშ. წევრი, 1 მემარჯვენეთა თანამოაზრე. ჩერნიგოვისაში—2 ოქტომბრისტი და 1 მემარცხენე უპარტიო.

რიაზანის გუბერნიის დანკოვსკის მაზრაში აირჩიეს 4 უპარტიო, ეგორევისაში 1 კონ.-დემ. და 1 მონარქისტი, კასიმოვისაში—5 უპარტიო მემარცხენე, მიხაილოვსკისაში—1 უპარტიო მემარცხენე და 5 უპარტიო მემარჯვენე, პრონისაში—1 ოქტომბრისტი, 2 უპარტიო, რიაზანისაში—1 ოქტომბრისტი, 1 მემარცხენე უპარტიო, 2 უპარტიო მემარჯვენე; საპოჟენსკისაში—1 ტრუდოვიკი, 3 მემარცხენე, 1 უპარტიო, სკოპინსკისაში—1 კონ.-დემ., 1 ობნოვლენეცი, 3 ოქტომბრისტი, 2 მონარქისტი, რიაჟისაში—4 უპარტიო.

ტამბოვის გუბერნიის კირსანოვის მაზრაში აირჩიეს 4 უპარტიო მემარცხენე, კოზლოვსკისაში—13, მათგანი უმრავლესობა ტრუდოვიკების მომხრეა.

პერმის გუბერნიის ეკატერინსბურგის მაზრაში მემამულეებმა აირჩიეს 8 უპარტიო და 1 ობნოვლენეცი, ირბიტისაში—1 პროგრესისტი, ოხანსკისაში—6 ზომიერი, პერმისაში 1 პროგრესისტი, 1 ნაციონალ-დემოკრატი, 2 მემარჯვენე, ჩარდინისაში—3 უკიდურესი მემარჯვენე.

ასტრახანის გუბერნიის ენოტაევის მაზრაში 1 მემარ ჯვენე, ცარევისაში—1 მემარჯვენე, ასტრახანისაში—1 ზომიერი მემარჯვენე.

გროდნოს გუბერნიის ვოლხოვის მაზრაში აირჩიეს 2 პროგრესისტი, 1 ნაციონალ-დემოკრატი, 1 უპარტიო მემარჯვენე; კორბინსკისაში—2 მონარქისტი, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 3 მემარჯვენე უპარტიო.

ეკატერინოსლავის გუბერნიის ალექსანდროვსკის მაზრაში აირჩიეს 9 ოქტომბრისტი, პავლოგრადსკისაში—3 მონარქისტი, 4 ოქტომბრისტი, 2 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 1 ობნოვლენეცი და 1 მოხარქისტი (მეორე კორესპონდენტის ცნობით, კონ.-დემ. თანამოზრე), კალუჟსკისაში—2 უპარტიო მემარჯვენე, ლიკვინსკისაში—2 ოქტომბრისტი, მალოიაროსლავსკისაში—1 კ.-დემ. თანამოაზრე, მეშევსკისაში—2 უპარტიო მემარჯვენე, პერემიშლსკისაში—3 მონარქისტი, ტარუსკისაში—1 ოქტომბრისტი.

სმოლენსკის გუბერნიის ვიაზემსკის მაზრაში აირჩიეს დემოკრატი, მონარქისტი, ობნოვლენეცი, როსლავსკის მაზრაში—6 ოქტომბრისტი, სმოლენსკისაში 2 ოქტომბრისტი.

მოსკოვის გუბერნიის ბრონიცკის მაზრაში გლეხთა რწმუნებულებმა აირჩიეს 2 პროგრესისტი, დანარჩენ 9 მაზრებში აირჩიეს 2 მონარქისტი, 3 ოქტომბრისტი, 2 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 1 კონ.-დემ., 5 მემარცხენე უპარტიო.

კალუგის გუბერნიის კოზელესკის მაზრაში აირჩიეს 1 მონარქისტი და 3 უპარტიო, ტარუსსკისაში—1 მემარცხენე, 1 მემარცხენე უპარტიო, კალუჟსკისაში—1 მონარქისტი, 1 ზომიერი.

პოდოლის გუბერნიის ბალტიის მაზრაში აირჩიეს 5 მონარქისტი, 4 მემარჯვენე უპარტიო, 3 პროგრესისტი უპარტიო, ვინნიცისაში—5 უპარტიო, პროსკუროვსკისაში—3 ზომიერი და 3 მემარცხენე უპარტიო.

ვოლონის გუბერნიის ქალაქ დუბნაში აირჩიეს 2 უპარტიო ებრაელი, სტაროკონსტანტინოვში—2 კადეტი.

ვორონეცის გუბერნიის ქალ. ბობროვში აირჩიეს 4 კადეტი, 1 ტორგოვო-პრომიშლენ. პარტიისა, 1 ოქტომბრისტი და 1 პროგრესისტი.

ბესარაბიის გუბერნიის ქ. კანდიკოვში აირჩიეს გადასახდთა ინსპეკტორი.

ქუთაისის გუბერნიის ქ. ზუგდიდში აირჩიეს ზომიერი, ფოთში—2 სოც დემოკრატი.

ლიფლიანდიის გუბერნიის ქ. პერნოვოში აირჩიეს 2 ესტონო პროგრესიული პარტიისა, ვენდენში—ზომიერი, ფელინში—მემარჯვენე, მემარცხენე და კონ. დემ. თანამოაზრე.

ყაზანის გუბერნიის ქ. ყაზანში აირჩიეს 1 უპარტიო მემარცხენე, 1 ზომიერი, კოზმოდემიანსკში—ზომიერი პროგრესისტი, ლაიშევოში—კადეტების თანამოაზრე, სვიაჟსკში—ზომიერი, 1 მემარცხენე; სპასსკში—კადეტი, ლადრინში—კადეტი, ჩეთოსკარში—კონ. დემოკრატი, ჩისტოპოლში—3 კონ. დემოკრატი, ტეტიუშაში—მონარქისტი.

რიაზანის გუბერნიის ქ. დანკოვში—მირნოობლოვლენეცი, ეგორიევსკში—4 კ. დემოკრატი, ზარაისკში—3 კონ. დემოკრატი, კასიმოვოში—1 კონ. დემოკრატი, მეორე კონ. დემ. თანამოაზრე, პრონსკში—2 უპარტიო, რიაზანში—5 უპარტიო მემარცხენე, ამათგან 3 კონ. დემ. თანამოაზრე, საპოჟკაში—კონ. დემ. სკოპენეკვში—2 ოქტომბრისტების თანამოაზრე.

ტამბოვის გუბერნიის ქ. ბორისგლებსკში აირჩიეს 1 მემარცხენე, 1 კონ. დემოკრატი, კირსანოვოში—კონ. დემოკრატი, კოზლოვში—2 კონ. დემოკრატი და 1 მემარცხენე, ლებდიანში—1 ზომიერი პროგრესისტი და 1 კონ. დემოკრატი, ლიპეცკში—მემარჯვენე, მორშანსკში—3 სოციალ-დემოკრატი, უსმანში—1 სოც. დემოკრატებზე უფრო მემარცხენე, ელატშაში—კონ. დემოკრატი.

პერმის გუბერნიის ქ. ირბიტში აირჩიეს 2 კონ. დემოკრატებს თანამოაზრე, კუნგურში—1 მონარქისტი და 1 უპარტიო პროგრესისტი, ოსინსკში—3 კონ.-დემოკრატი, ოხანსკში—1 ზომიერი და 1 მემარცხენე, პერმში—4 კონ. დემოკრატი, 1 სოც.-დემოკრატი და 2 მემარცხენე უპარტიო, სოლიკამსკში—4 მემარცხენე, ჩერდინსკში—1 უკიდურესი მემარცხენე. უკანასკნელი არჩევნები განასაჩივრეს.

სმოლენსკის გუბერნიის ქ. ვიაზმაში აირჩიეს ოქტომბრისტი, გჟატსკში—უპარტიო მემარჯვენე, როსლავლში—1 უპარტიო და 1 კონ.-დემოკრატი, დოროგობუჟში, კრასნიელსში და სიჩოვკაში—1 კონ.-დემოკრატი.

მოსკოვის გუბერნიის მოსკოვის მაზრაში აირჩიეს 5 კონ.-დემოკრატი და 3 ნაროდ. სოციალისტი.

მოქალაქეთა არჩევნებში ჯერ-ჯერობით 73 კადეტია და 14 მათი თანამოაზრე. წრეევანდელი არჩევნები მეტად ჭრელია, როგორც პარტიებით ისე მათი პოლიტიკური რწმენის მხრივ.

22 იანვრამდე გლეხებს, მუშებს და წვრილ მემამულეთ აურჩევიათ 19,130 რწმუნებული, იმათგან მონარქისტები და მათი თანამოაზრე 4,626; ზომიერი, ცენტრი, 17 ოქტომბრისტი და სხვა მშვიდობიან განახლების პარტიაზე უფრო მემარჯვენე 8,239; დანარჩენ 7,600-ში: კადეტი და მათი თანამოაზრე 635-ია. 7600 რწმუნებულში 2934 მღვდელია.

23 იანვრამდე არჩეულ მემამულების და მოქალაქეთა 1249 რწმუნებულიდან არის: მონარქისტები და მათი თანამოაზრე 329 კაცი, უპარტიო მემარჯვენე 120, ზომიერი 181; ოქტომბრისტი 105; მემარჯვენე 517; აქედან პროგრესისტი 69, კონ.-დემოკრატი 103, მშრომელთა გჯუფისა 8, გლეხთა კავშირისა 4, სახალხო სოციალისტებისა 3, სოც.-დემ. 17, სოც.-რევ. 5, უპარტიო მემარცხენე 90. უპარტიო ყველაზე მეტი გლეხებმა აირჩიეს—112, უპარტიო მემარჯვენე 85, ზომიერი 11, მემარცხენე 69, უცნობი 51. მონარქისტების უმეტესობაც გლეხებში აირჩიეს. ქალაქებმა აარჩიეს 135 მემარცხენე.

ახალი ამბავი

— —

✦ **ლოლაძის მოკვლა.** 23 იანვარა, შუაღამის 2 საათზე, განჯაში, სომხების ნაწილში, მოჰკლეს ცნობილი აგენტი „ოხრანი“ განყოფილებისა პრაპორშჩიკი ტარას ლოლაძე. ლოლაძე მცველთან ერთად ეტლით მიდიოდა თუმე ზორაბსკის ქუჩაზე, მოულოდნელათ დაუშენიათ რევოლვერები მსროლელნი მრავალნი ყოფილან. ლოლაძისთვის ოცამდე ტყვია მოურტყავთ. თავი, ბერძი, ფეხები სულ ერთიან დაუხვრეტიათ ტყვიით. ლოლაძე იქვე მომკვდარა. მომკვდარა აგრეთვე მცველი. მძიმედ დაჭრილან მეეტლე, ერთი პოლიციელი და შემთხვევით გამვლელი. მსროლელნი ისე მიიმალნენ, რომ იმათი ვერა გაუგიათ-რა. ნამესტნიკის განკარგულებით, უკვე გადაუდვიათ ორასი მანეთი ლოლაძის დასამარხავად.

✦ **სამხედრო-საველე სასამართლო.** ყვირილაში სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა ნიკურაძეს, რომელსაც ჰიათურაში სტრაჟნიკის მოკვლა ჰბრალდებოდა. განაჩენი გუშინ დილით მოიყვანეს სისრულეში. ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-საველე სამართალში მისცეს ქუთაისის მცხოვრები ალექსანდრე ივანეს ძე ერამოვი. ჰბრალდება საროსკოპო სახლის „პარკეტ“-ის პატრონის ლ. ბერმანის დაჭრა.

✦ **გადასახლება და გაძევება.** ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნებიან მეტეხში დაპატიმრებულნი ს. როსტოვსკი და ხაიმ სანკოვიჩი. ჰბრალდებათ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან: რაქველები მეთოდი ოქ. ევნაძე და არჩილ ბ. კერვალიშვილი, ზუგდიდის მაზრის მცხოვრები ილარიონ ალ. პულარია და ქიზიყელი გიორგი ევ. პივილაშვილი. ესენი იგზავნებიან ფრონტის საკანდიტროში გაფიცვისათვის.

✦ **გაზეთი თიანეთში.** როგორც „ზაკ.“-ს გაუგია, ვაჟა-ფშაველას განუზრახავს თიანეთში გაზეთის გამოცემა. გაზეთს „ფარი“ ერქმევა.

✦ **ქართველი რევოლიუციონერი ეგვიპტეში.** როგორც მკითხველებს ეხსოვებათ, ამას წინად ეგვიპტეს სატახტო ქალაქ ალექსანდრიიდან დეპეშა მოვიდა: რომ შეიპყრეს სამი რუსის კვეშევრდომი, რომელთაც უნდოდათ აეფეთქებინათ რუსის სანავოსნო საზოგადოების გემი „ჩიხაჩოვი“. (ამ საზოგადოების მეზღვაურნი გაფიცულნი არიან). მეორე დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ როდესაც ესენი შეიპყრეს, ხალხმა დიდი დემონსტრაცია გამართა რუსეთის საელჩოს სახლის წინ, ჩამოგლიჯა ამ საელჩოს გერბი და ფეხით გათელეა. ეხლა, როგორც „ნოვ.

ფელეტონი

არ ახალია,—მველია

ეკონომიური მატერიალიზმი.

I.

მკითხველის წინაშე დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ დავაგვიანე ჩემი წერილები. მართალი მოგახსენოთ, ჩემ ოპპონენტთან კამათი არც ისე საინტერესოა, რომ ბოლომდის გავყოლოდი იმის კრიტიკას, მაგრამ სიტყვას ვასრულებ და ვაგრძელებ ამ წერილებს;—ამას ჯერ ერთი მკითხველისათვის ჩავდიავარ, მერე კიდევ ჩემთვის პირადად. მე კარგი ხანია აზრადა მქონდა დამეწერა ვრცელი კრიტიკა მარქსიზმისა და მის უმთავრეს მიმდევართა. შეიძლება როდისმე ავასრულო ეს წადილი. ჯერ-ჯერობით კი ამ მცირე შენიშვნებით დავკმაყოფილდები. შევეხები მარქსიზმის უმთავრესს მუხლს—ეგრედ წოდებულ ეკონომიურ მატერიალიზმს, რომელიც პლეხანოვის „სისტემაში“ ნაწილია „დიალექტიურ მატერიალიზმისა“ *).

ბ-ნ შვარცის მიერ უხეიროდ მოთხრობილი თეორია ეკონომიურ მატერიალიზმისა საფლავში შეანძრევდა მისს მამათმთავართ. აი, ერთი მართლაც სასაცილო და სამარცხვინო ნიმუში: „პოლიტიკა, უფლება, მორალი, ზნე-ჩვეულება **და, საზოგადოდ, ყოველ-გვარი აზროვნება მხოლოდ ეკონომიურ ურთიერთობის გამომხატველია**“-ო, ამბობს ბ-ნი შვარცი. მოდი და ელაპარაკე „მოწაფეს“, როდესაც თავის მასწავლებელთა აზრს ასე ამახინჯებს! მისი მეოთხე წერილი სავსეა აზროვნების ამგვარ მარგალიტებით (ნეტავი ვიცოდეთ, რომელ ეკონომიურ ურთიერთობასა ჰხატავს **ამგვარი აზროვნება** შეუდარებელ მარქსისტისა?), ასე რომ ისევ მასწავლებელთა პრინციპების დაკვირვება სჯობია, მათი შეძლებისა დაგვარი კრიტიკა. ეს უფრო ნაყოფიერი იქნება როგორც მკითხველთათვის, ისე ჩემთვის და, მგონი, ბ-ნ შვარცსაც არ აწყინოს; ასე ტეტიურად „рубить съ плеча“ რომ არა მეცნიერული მეთოდია კამათისა,—ისიც შეიძლება ცოტათი მაინც შეაგნებინოს...

ორის უმთავრესის პრინციპით დახასიათდება მარქსის ეკონომიური მატერიალიზმი, თუ განვიხილავთ მას როგორც ერთ დასრულებულ აზროვნების სისტემას. ეს უკანასკნელი მეთოდი რომლისამე თეორიის დაფასებისა კი უსაჭიროესია, თუ ღობე-ყორეს არ გვინდა მოვედოთ და საკითხის გამორკვევის მაგივრად სრულიად დავაბნელოთ ისიც, რაც აქამდის ყველასათვის თვალსაჩინო იყო.

პირველი პრინციპი: საწარმოო ძალთა განვითარება, როგორც ძირითადი მამოძრავებელი მიზეზი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, შემცვლელი საზოგადოებრივ ფორმათა.

მეორე პრინციპი: კლასსთა ბრძოლა, რომელიც დამყარებულია ამ საწარმოო ძალთა განვითარებაზედ. „მთელი ისტორია კლასსთა აღმოცენების შემდეგ—კლასთა ბრძოლის ისტორიაა“.

მეორე პრინციპი პირველიდან გამომდინარეობს.

აი თვით შინაარსი, თვით ესსენცია ეკონომიურ მატერიალიზმისა.

აქ, სწორედ აქ ასტყდება ხოლმე „მარქსისტთა“ და მათ მოკამათეთა შორის ერთი აურ-ზაური და უფრო ხშირად აზრთა არევ-დარევაც: მარქსისტები ზემოხსენებულით არ კმაყოფილდებიან,—მარქსსა და ენგელსს იმას აწერენ, რაც თავის დღეში მათ არ აღმოუჩენიათ და არც დაუკვეხნიათ აღმოვაჩინეთო. მაგალითად, იშვიათად შეგხვდებათ ისეთი მარქსისტი, რომ პირველის **პრინციპით** დაკმაყოფილდეს და იგი ისეთ ნაირად არ გააფართოვოს და მიაწეროს მარქს ამ გაფართოვებულის სახით მისი აღმოჩენა, რომ დიდი მოთმინების კაცსაც პლეგიატორობა არ შეაწამებინოს მარქსისათვის. ამასა ჰქვიან „დათვის სამსახური“ მასწავლებლისადმი. ეს მარქსისტები ყოველნაირ ცდას ისტორიულ მოვლენათა ეკონომიურად ახსნისას, ყოველნაირ დაფასებას ეკონომიურ ფაქტორისას მარქსიზმს აწერენ და ამით ამახინჯებენ თავიანთ მასწავლებელთა მიერ წამოყენებულ პირველ პრინციპს. აგრეთვე, როდესაც გაიძახიან, რომ მარქსმა და ენგელსმა „კლასსთა ბრძოლა“ აღმოაჩინესო,—ეს მათი მეორე პრინციპის დამახინჯებაა, აბსურდი და სიცრუე რომ არ იყოს.

მართლაც, თითქმის ყოველთვის ყოფილან ისტორიკოსნი, პუბლიცისტნი და ფილოსოფოსნი, რომელთაც ამა თუ იმ ეკონომიურ მოძრაობისა და გარდაქმნის დროს შეუმჩნევიათ მიზეზი მათ თანამედროვე საზოგადოებრივ მოძრაობისა, მიხვედრილან ხშირად, რომ ეს უმთავრესი მიზეზი ეკონომიური ყოფილა, განსაკუთრებით საკითხების განწყობილებათა შეცვლა.—ხან და ხან ეს მათ აზრი ისტორიულ შეურყეველ კანონადაც კი დაუსახავთ. მაგალითად, ის განწყობილება რომელიც არსებობს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, მაქსიმ კოვალევსკის გამოკვლევით, ძლიერ კარგად სცოდნიათ როგორც ძველ საბერძნეთის ისტორიკოსებს, იტალიის განახლების ეპოქის პუბლიცისტებს,—ისე სონ-სიმონსა და ენციკლოპედ-კონტს, აგრეთვე მარქსისა და ენგელსის წინასწარ მწერლებსა და მკვლევართ, *) როგორიც იყო, მაგალითად, ლორენც შტეინი. ძველად ერთი ანონიმური ავტორი საბერძნეთის ისტორიისა (პელოპონეზის ომთა ეპოქის) პირდაპირ ამბობს, რომ ათინის სახელმწიფოში სრულის უფლებით გაბატონდნენ მეომრებზედ და კეთილშობილებზედ ღარიბი და უბრალო ხალხი, რადგან ეს უკანასკნელები უმთავრესად ზღვაოსნობას მისდევენ, ეს კი საფუძველია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისაო, და სხვ. შემდეგი ანალიზი ავტორი პირდაპირ მიდის იმ დასკვნამდის, რომ ათინის აყვავებულ დემოკრატიზმის პირდაპირი საფუძველნი მისი ეკონომიური განწყობილებანი არიანო. აგრეთვე არისტოტელი იკვლევს რა თავის პოლიტიკაში პოლიტიკურ წყობილების სხვა და სხვა ფორმას, ეკონომიურ განწყობილებებზედ ამყარებს ამ ფორმებს. იმის აზრით, იქ სადაც საკუთრებას მოკლებულნი უმრავლესობას შეადგენენ,—დემოკრატიაა გამეფებული, იქ კი, სადაც მდიდრები და კეთილშობილნი სხვა კლასსებს ისე სიმრავლით არ ჩამოუვარდებიან, როგორც თავიანთ ღირსებებით, — გამეფებულია ოლიგარხია და სხვა.

იტალიის ისტორია მე-15 და მე-16 საუკუნეთა სავსეა საზოგადოებრივ მოძრაობათა მაგალითებით. ამ საუკუნეთა ისტორიკოსებიც ნათლად ჰხედვენენ, რაშია საქმე. მაგალითად, მაკიაველლიმ და გვიჩჩიარდინიმ ძლიერ კარგად იცოდნენ, რომ შეურიგებელი წინააღმდეგობა სხვა და სხვა კლასთა ინტერესებისა იწვევს პოლიტიკურ გარდაქმნას. მაკიაველისა და გვიჩჩიარდინისაც განსაკურნებელ მალამოდ მთავრობის სხვა და სხვა ფორმათა ერთი შერეული და დადგენილი ფორმა მიაჩნიათ. მაკიაველლი ჰქადაგებს ამისათვის კლასსთა ბრძოლას, რომ ბოლოს მშვიდობიანობა დაამკვიდროს მისმა შედეგმა, გვიჩჩიარდინი კი კლასსთა მორიგებასა და შერეულ მთავრობათა ფორმას.

მე 17 საუკუნის მწერალი ჰარრინგტონიც მშვენივრად ხედავდა რევოლიუციის მიზეზს ეკონომიურ განწყობილებაში, განსაკუთრებით სამიწად-მოქმედო კლასთა ძალასა და მნიშვნელობას აქცევდა ყურადღებას, და თავის დროის შესაფერ საშუალებებს იძლეოდა. მასზედ, რასაკვირველია, დიდი გავლენა ჰქონდა იტალიელ მწერლებს რენესანსის ეპოქისა, და თვით იტალიაში მოგზაურობასაც.

აგრეთვე მე-18 საუკუნეში საფრანგეთსა და ინგლისში, შეიცვალა რა საკუთრებითი განწყობილებანი, ეს ფაქტი მაშინვე იქმნა შენიშნული და შესწავლილი. ტიურგომა და ადამ სმიტმა შენიშნეს ეს ფაქტი და აღნიშნეს მისი გავლენა მთელ სოციალურ წყობილებაზედ. ტიურგოს თავის წიგნში „სიმდიდრეთა განაწილება“ ისტორიის დანაწილებაც კი აქვს იმ სახით, როგორც თანამედროვე მწერლებს: მონობა, ბატონ-ყმობა და დაქირავებულ შრომის ეპოქა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების წესის დამკვიდრებას ეთანხმება წარმოშობის დროში.

მაქსიმ კოვალევსკის მრავალ ავტორთა მოწმობა მოჰყავს, რომელთაც მშვენივრად ჰქონდათ წარმოდგენილი ეკონომიურ ურთი-ერთობათა ცვლილების მიერ გამოწვეული ცვლილება მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საფრანგეთის თითქმის ყველა ფილოსოფოსი და ეკონომისტი მე-18 საუკუნეში ამ საერთო ისტორიულ

*) ამ «დიალექტიკურ მატერიალიზმზედაც» შემდეგ ვილაპარაკებთ, თუ პირობებმა ხელი შეგვიწყეს.

*) იხ. Максимъ Ковалевскій: „Современные соціологи“, დაწვრილებით p. p. 225—242.

ვრ.“ გადმოგვცემს, როდესაც ამ სამი კაცის სადგომი გაუჩხრეკიათ, უნახავთ დინამიტი და სხვა მოწყობილებანი. გაზეთის სიტყვით, ამ სამი კაციდან ერთი რუსია, მეორე ქართველი და მესამე—ებრაელი.

✦ **საბენეფისო წარმოდგენა.** დღეს, 25 ივნვრისთვის, სახაზინო თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ტასო აბაშიძის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება ზუდერმანის კომედია „პეპელათა ბრძოლა“, შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი შულგინა-მესხი, მარიამ ძნელაძე, თამარ ძნელაძე; ბ-ნნი ტომაშევიჩი, ცხომელიძე, ნიკ. ერისთავი, ადამიძე, ურუშაძე, გედევანოვი და აბაშიძე.

✦ **რედაქტორის განთავისუფლება.** დაკეტილ გაზეთს „ზარის“-ს რედაქტორი ნიკ. კურდღელაშვილი გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან. კურდღელაშვილმა 300 მანეთი შეიტანა.

✦ **ახალი გაზეთი.** ქაიხოსრო ქავთარაძემ შუამდგომელობა აღსძრა, ნება მისცენ გამოსცეს, ტფილისში ქართული გაზეთი „ამირანი“.

✦ 24 თებერვლისთვის დანიშნულია ბებია-ქალების ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრება მოხდება საბებიო ინსტიტუტის სადგომში; უნდა განიხილოს ანგარიში და აირჩიოს გამგეობის წევრნი.

✦ გვოხოვენ, ქვეყდომქმედთა ყურადღება მივაქციოთ გაჭირვებულ ოჯახის მდგომარეობას. ოჯახი სამის სულისაგან შესდგება: ძალზე მოხუცი ბებია, დედა და ქალი. ეს უკანასკნელი სწავლობს, მაგრამ ეხდა ავად გახდა და არავითარი საქმე არა აქვს თავი იჩინოს. ეოველგვარ დახმარებას მადლობით მიიღებენ. ადრესი: მეორე საბოლიტიო ნაწილი, დაბორატორნი ვიწრო ქუჩა, №-7, სახლი კუნერტისა; კიკნაძე.

პატარა ფელეტონი

პარტიული ინდოურები.

ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ ბლომად დაპანტურებენ გზა-დაბნეულ ინდაურებსავით კისერ-წაგძელებული ახალგაზდა ქალები, რომელთაც სულ ენაზე აკერიათ და გამწარებულად ლულლუღებენ: „კლასთა ბრძოლა,“ „პროლეტარიზაცია“ „კაპიტალიზმი“ და სხვა. საუბარი რომ გამართოთ მათთან, გულზე სევდის მუხრუჭი მოგიჭერთ. მათი გონება საცოდავის ცარიელობითაა აღსავსე და მოგაგონებთ იმ ერთ ჯამ თხელ წვნიანს, სადაც გურულმა კაცმა ვერაფრის გზით ხელში ვერ ჩაიგდო აქა იქ კანტი-კუნტად მცურავი სამიოდე ლობიოს კაკალი, ბოლოს „გურულ კუჭი“ მოუვიდა,—ამოიღო „ფიშტო,“ დაახალა წვნიანის ჯამს და გავარდა ოთახიდან.

თქვენც ვერაფრის გზით ვერ შეიძლებთ ხელში ჩაიგდოთ ამ ახალგაზდა ქალების გათხელებულ ტვინში სამიოდე მოუნელებელი ლობიოს კაკალივით კანტიკუნტად მცურავი „მარქსი“, „ენგელსი“ და „კაუტსკი,“ ბოლოს-და-ბოლოს თქვენც ნამდვილი „გურული კუჭი“ მოგივათ, მკვეთრი დაცინვის „ფიშტოს“ დაახლოით ამ გულის აღმრევ ქალწულთ და მიანებებთ თავს.

რანაირად გაჩნდნენ ასე მრავლად ჩვენ ცხოვრებაში ამგვარი ქალწულნი? სწორე მოგახსენოთ ამ სამწუხარო საკითხზე ერთბაშად პასუხის გაცემა გამიჭირდება. არა თუ მოწიფული ქალწულნი, დღეს „ახალგამოჭყენტილი“ ოითის სიგძე ბავშვებიც უკვე პარტიის-კაცობენ. ჩვენი ჰაერი გაჟღენთილია მარქსიზმის მძიმე-სურნელოვან მოძღვრებით, და რასაკვირველია-თვითეული ორსული მანდილოსანიც იძულებულია ჰყლაპოს ეს ჰაერი, რაიცა იმის მომავალ შვილზე მავნედ მოქმედებს. ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფ ბალღს ძვალ-რბილში უჯდება და ქვეყანაზე გამოჩენისათანავე იგი უკვე მზამზარეული „პარტიის კაცი“ გახლავთ.

კარგა ხანია გამორკვეული აქვს მშობიარობის მეცნიერებას, რომ „ეკონომიურ მატერიალიზმის“ გადუვალ კანონის ძალით, „გარეშე პირობანი“ ორსულ ქალზე მოქმედობს. თუ იგი ხშირად ჰხატავს ცხოვრებაში მახინჯსა და დუხჭირ სურათებს, ეს მახინჯი სიდუხჭირე, მისდა შეუმჩნევლად იმის შვილს აღებეჭდება, მომავალ ბალღის ბუნებაზე მოქმედებს. სხვა ვერაფერი განმარტება მომიგონია ამ საოცარ და თან სამწუხარო მოვლენის ასახსნელად. მახინჯი მოძღვრების სიდუხჭირემ ჩვენი ბავშვებიც დაამახინჯა და უდროოდ დაადუხჭირა.

ეხლა ისევ ჩვენ ინდოურებს დაუბრუნდეთ.

ვინ არ დამეთანხმება, რომ ჩვენი „პარტიული“ ახალგაზდა კაცები, რომელთაც ბუნებით მეტი სითამამე მოსდგამთ, ამ „პარტიულ“ ქალწულებზე მოქმედებენ, თუმცა, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, შეგნებით კი არა, არამედ მხოლოდ გარეგნულის ღირსებით ქალებზე ერთი გოჯით ეაღლა დგანან და მომაგონებენ ერთ უცხოეთელ ამბავს გლეხების ცხოვრებიდან.

სატახტო ქალაქის უნახავი გლეხი

ფორმულას მისდევდა. მონტესკიე, (იხილე მისი შესანიშნავი ფორმულა—l'é-sprit des lois c'est la propriété) დიუპონ დენემური და, ასე გასინჯეთ, რუსსოც დიდ როლს აწერდნენ ეკონომიურ ფაქტორს. აგრეთვე სენ-სიმონი და კონტი, თვით მარქს-ენგელსის მიმდევართა შეხედულობით, ერთ უპირველეს შემსწავლელთაგანი იყვნენ ისტორიაში მომქმედ ეკონომიურ ფაქტორისა. კონტს ამ გვარად ახასიათებს ლორია: „მე-14 საუკუნიდან დაწყებული კონტი თვალ ყურს ადევნებდა მრეწველობის განვითარებასა, და ეჩანს, რომ მას ისიც საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ ამ განვითარებით განისაზღვრება ხასიათი ესტეტიურ, მეცნიერულ და სამხედრო ქმნილებათა, საზოგადოდ მთელი წესი და განვითარება საზოგადოებრივ ცხოვრებისა“.*)

ლორენც შტეინმაც თავისი წიგნი—„სოციალიზმი და კომუნიზმი საფრანგეთში“ 1842 წელს გამოსცა. ამ წიგნში სრული ანალიზია ეკონომიურ ფაქტორისა, აგრეთვე კლასსთა ბრძოლაა დახასიათებული სრულიად რაციონალურად.

აიღეთ შემდეგ თოროლდ როჯერსი, რომელიც მარქსისაგან დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ისტორიის ახსნა შეიძლება ეკონომიურად, და რომელმაც სწორედ ამ სათაურით მთელი წიგნი დასწერა—The Economical interpretation of History.

გაითვალისწინეთ ყველა ეს და მაშინ მიხვდებით მოწაფეთა „დათვის სამსახურს“ მასწავლებელთადმი. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებული შეხედულებანი ეკონომიკაზედ არ არის ეგრედ წოდებულ „ეკონომიურ მატერიალიზმის“ სალარო,

*) La sociologia, il suo compito. Padova, p. 48. ნაჩვენებია კოვალევსკის მიერ, ibid. p. 240.

რომლის საფუძველი მარქსმა და ენგელსმა ჩაჰყარეს, არამედ მთელი ისტორიული კვლევის შედეგია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ნაშრომი მრავალ ავტორთა, და ეოველივე ამის მარქსისა და ენგელსის გონებისათვის მიწერა—ზედ-მეტი ღირსებულების აღმოჩენის მიწერისა არ იყოს,—სრულიად ვერ აღამაღლებს მარქსსა და ენგელსს მოაზრეთა თვალში, პირიქით იგი უფრო „მოწაფეთა“ უმეცრებასა და თავის საკუთარ დავითნის გაუგებრობას დაამტკიცებს.

ეს მცირე შენიშვნები იმიტომ დაგვჭირდა, რომ ნათლად დაგვეყენებინა პრანციპები „ეკონომიურ მატერიალიზმისა“, რაიც მართლაც დაახასიათებს მარქსიზმს, და არ მიგვეწერა მისთვის ის საზოგადო ფორმულანი და მოსაზრებანი, რომელნიც სრულიად არ შედიან მის ფარგალში. ამას ბევრჯერ სჩადიან „მოწაფენი“, ჩვენ კი, სჯობია, თავიდან ავიცდინოთ ეს შეცდომა.

როგორცა ვთქვით, მხოლოდ ორი პრინციპი ახასიათებს ეკონომიურ მატერიალიზმს: საწარმოო ძალთა განვითარება, როგორც უმთავრესი მიზეზი ყოველ გვარ საზოგადოებრივ ცვლილებათა, და კლასსთა ბრძოლა, რომელიც მთელი ისტორიაა კაცობრიობისა კლასსთა აღმოცენების შემდეგ. ეს არის ორიგინალური აზრი, მარქსის მიერ შეტანილი სოციოლოგიაში, თუ იმის სისტემას მთლიანად განვიხილავთ,—რაიცა ერთად-ერთი პირობაა სისტემის შინაარსის გაგებისა, დაფასებისა და ნაყოფიერ კრიტიკისა.

განვიხილოთ თვით შესანიშნავი ფორმულა მარქსისა, რომელიც დაწერილია იმის Zur Kritik der politischen Oekonomie-ს წინასიტყვაობაში. ეს უმჯობესია, რადგან უკეთესი ფორმულა ეკონომიურ მატერიალიზმს პირველ პრინციპი-

---

პირველად მოხვდა იქა და შემთხვევით დაესწრო იმ ქვეყნის მეფის დღეობის სადიდებლად გამართულ დღესასწაულს. იმის თვალ-წინ გაიარა ქუჩაში ოქროს ლახტით მოსილმა, არაბულ ცხენზე მჯდომარე ახოვანმა მეფემ, რომელსაც ორ-წყებად ამალა მისდევდა. პირველ რიგში წინ-და-უკან ოქროთი მოვარაყებული კამერჰერები, მეორეში კი აგრეთვე ყოველ-მხრით ვერცხლით შემოჭედილი კამერ-იუნკერები. გლეხმა თვალი ვერ მოსწყვიტა ამ დიად სანახავს და აღტაცებით ჰკითხა გვერდით მდგომარე ქალაქელ მაყურებელს:

— ერთი მიბძანეთ, რა თანამდებობა აქვთ, რას აკეთებენ ეს ოქროთი მოსილი ვაჟბატონები?

— არაფერი თანამდებობა არა აქვთ, სრულებით არაფერს არ აკეთებენ,—უპასუხა საქმეში ჩახედულმა ქალაქელმა კაცმა სოფლის კაცს, რომელსაც სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

— მეორე რიგში რომ არიან, ვერცხლით შემოჭედილი ვაჟბატონები, ესენი რაღას აკეთებენ?—ხელ-ახლად დაეკითხა ქალაქელ მცხოვრებს გულ-უბრყვილო გლეხი.

— ესენი იმ ოქროთი მოვარაყებულებს ეხმარებიან,—დინჯად, ღიმ-მოურევლად უპასუხა ქალაქელმა კაცმა თავის მოსაუბრეს.

ჩვენ ცხოვრებაშიაც მარქსის სადიდებლად შემდგარ დიდ აღლუმში პირველი რიგი წინ-და-უკან გარეგნულ პარტიულ ოქროთი მოვარაყებულ მრავალ ვაჟს უჭირავს, რომელნიც არაფერს აკეთებენ არა თუ სხვის არამედ თავის მოძღვრების შესაგნებლად და ჭეშმარიტების გამოსარკვევად, მეორე რიგში კი იმათ მისდევენ გარედან „მარქსიზმით“ მოვერცხლილი ქალწული ქალები, რომელნიც ვაჟებს იმათ შეუგნებლობაში ეხმარებიან.

ი. ნაკაშიძე.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ფოთი. არა მგონია სანიტარულად რომელიმე ქალაქი ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყოს, როგორშიაც ჩვენი ფოთია. უბირველესი საზრუნავი თვით-შმართველობისა უნდა იყოს სისუფთავე, ქუჩები, კანთება და სხვა ამისთანები. წდები კადის ისე, რომ თვალით არ გვინახავს სანიტარო კამისია, არც ექიმი; არა ეოფილა მაკადითი, რომ დეეოვალიერებინათ ქალაქის ეზოები და დარწმუნებულიეყვნენ, რომ ასეთი ეოფა შეუძლებელია. კათამამებულმა მიკიტნებმა ეზოებში დორის ჯოგები კაშენეს. წარმოიდგინე, მკითხველო, რა სისუფთავე იქნება ამის შემდეგ! კარგს იზამდნენ აგრეთვე ქალაქი რომ კანონთა-ვისუფლებინათ მაწანწალა ძაღლებისაგან

ბორის.

ამ დღეებში უმაწვილმა კატებმა პოინდომეს წარმოდგენის გამართვა ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ბიესა უნდოდათ დაედგათ ქალების სკოლაში, სადაც საზოგადოდ მართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს, მაგრამ შენობა არ დაუთმეს. მიზეზად ის განაცხადეს, რომ წარმოდგენის დროს აფუჭებენ სკ-ის. ქონებასაო. მოთავემ ბირობა მისცა, ვზდავთ წახდენილ ქონებასაო, მაგრამ შენობა არც მაშინ დაუთმეს.

ლ. ხ.

ახალციხე. ჩვენში ხუდი განთ ბრბო გაძღიერდა, ბნელმა ძაღლებმა გაიმარჯვეს. ამ ძაღლების გამო საკვალდო მდგომარეობაში ვარდება ჩვენი ერთობის ორიოდე მიმდევარნი: ხმას არ აღებინებენ, ვინც იტუვის, ბირში ბერთსა სჩრიან, ასმენენ სადაც ჯერ არის ნათქვამია—ძაღა ადმართსა ხნავსო.

მეჯვრის-ხევი. (ქართლი). მეტად სასტიკად იქცევა ჩვენი ნაწილის ახალი ბოქაული. მაგრამ ბოქაულს სხვებმა ბევრად გადაჯარბეს.

მკითხველ, კი არ გეგონოს რომ აქაც არ გეუკვდეს მახარაძისა და იმისი მსგავსი რაინდი. ეს გახდავთ სტრაუნიკი ჩაჩიშვილი. ამ ვაჟბატონს უნდა, რომ რითიმე დაიმსახუროს ბატონების ეურადღება და ამის გულისათვის არაეფერს საზიზღრობას არ ერიდება და ადარავისა ზოგავს. სამნი ძმანი არიან და სამნივენი ამისთანა გმირები. დაძურებიან სოფლებში, ღამე იქნება თუ დღე, და აწიოკებენ ხალხს. ხოლო თუ მიზანში ამოდებული მსხვერპლი ჩაიგდო ხელში, ღმერთმა თქვენ დხენა მოგცეთ, ცემას კი არ აკმარებს, სულ ხანჯლის წვერით სჩხვლეტავს. რა გაეწყობა: ესეც დროს მოსავალია!

ეოფილი ფხალაძე.

რუსეთი

✦ **გერცენშტეინის მოკვლის და შავ-რაზმის ორგანიზაციის შესახებ** საინტერესო ცნობები შეუკრებია „რუს. ვედ.“-ს კორესპონდენტს. ამ საქმის გამომძიებელმა ვექილმა ვებერმა კერძო საუბარში უთხრა კორესპონდენტს, გერცენშტეინის მკვლელობის გამომძიებამ საშიშ მდგომარეობაში ჩამაგდოო. შავ-რაზმელების ჯაშუშები კვალ და-კვალ სდევენ თურმე. იმდენად გათამამებულან, რომ ვებერის

საფეხურზე? სხვანაირად რომ ვთქვათ,—მარქის ფორმულა თვით თავდა-პირველად აყენებს კითხვას: რა უფლებით ვაგრძობთ ჩვენ საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზების ანალიზს მხოლოდ საწარმოო ძალთა მდგომარეობამდის და ამ უკანასკნელსა ვთვლით ჩვენ სოციოლოგიურ კვლევათა გამოსავალ წერტილად? —და რაც უნდა ღრმა იყოს მარქსის ანალიზი „პირველ მიზეზთა“ აღმოსაჩენად, ჩვენი გონება მაინც იძულებულია ანალიზი განაგრძოს და გადააბიჯოს საწარმოო ძალთა, უფრო ღრმად ჩაიხედოს საზოგადოებრივ მოვლენათა წარმოშობის მიზეზთა მრავალ - ფეროვანობაში.

კიდევ სხვანაირადა ვთქვათ ჩვენი აზრი: მარქსი ამბობს,—საწარმოო ძალთა განვითარება საფუძველი, ძირითადი მიზეზია განსაზღვრულ საფეხურზედ მდგომ ადამიანის შექმნისა მთელის მისის სოციალურის შინაარსით. ჩვენ კი ვამბობთ —თვით საწარმოო ძალთა განვითარებაა შედეგი მათ წინასწ რ არსებულ მიზეზთა. **ეს მიზეზი კი არის ადამიანი, სოციალური არსი, უკვე აღმოცენებული სახე ცხოველის, რომლის წევრთა შორისაც უკვე არსებობს საზოგადოებრივი განწყობილებანი.**—ამგვარად ვაყენებთ ჩვენ კითხვას და მისი შესაფერი პასუხი ბევრ რამეს გვეუბნება, თუ ვისარგებლებთ თანამედროვე მეცნიერულ კვლევა-ძიებითა და მათის შედეგებით.

ფაქტია, რომ სანამ ადამიანთა საზოგადოებრივობა „დამყარდებოდა“ საწარმოო ძალებზედ, სანამ მისი „ცნობიერება“ განისაზღვრებოდა საწარმოო ძალთა განვითარებით, ადამიანთა საზოგადოება იყო, თვით „ცნობიერებაც“ ადამიანისა არსებობდა, როგორც სოციალური ცდა, მრავალ შთამომავლობათა მიერ შემუშავებული თვისება ადამიანისა, როგორც გონებრივ არსებისა.

სახლის კიბეზე დაუყენებიათ ერთხელ თავისი მზვერავები. ვებერს რომ ისინი დაუნახავს, გულ-მოსულს უთქვამს, ავს თუ არ დამანებებთ, ამ წამს რევოლვერს ამოვიღებ და გესვრიო. ჯაშუშები შეშინებულან და გაქცეულან. ვებერს შეკრებილი აქვს საუნაღლეო ცნობები მკვლელობაში მონაწილეთა შესახებ. ერთი უმთავრეს მონაწილეთაგანი—„გამბეი გამბეიჩ“ ტოპოლევი „პოგრომების“ ბელადი ყოფილა. სადაც კი ებრაელთა აკლება-აწიოკებას განიზრახავდნენ, ამ ტოპელევს იბარებდნენ ადგილ, როგორც გაწვრთნილი მებრძოლი, ჩინებულად აწყობდა საქმეს. ტოპელევმა კარგად იცოდა, რომ ჩვენ დროში ყველაფერი გაუვიდოდა, ამიტომ თამამად მოქმედებდა. ერთხელ პოლიციამ ციხეში ჩასვა იგი. ეს შავ-რაზმელთა ცნობილმა მეთაურმა დუბროვინმა შეიტყო, მიმართა სადაც ჯერ არს და ტოპელევი გამოაშვებინა.

საინტერესოა შავ-რაზმელ „რუსთა კავშირის“ შინაგანი წყობილება-ორგანიზაცია. უმთავრეს საბჭოში სხედან მეთაურები: ცნობილი დუბროვინი, იმისი ამხანაგი—ბურიშკევიჩი, ტრიბატნი, იუსკევიჩ კრასკოვსკი, საიდუმლო პოლიციის აგენტი იაკოვლევი; არხიმანდრიტი არსენი, თავ. ვოლკონსკი და სხვ. საბჭო, ესე იგი უმთავრესი შტაბი, განაგებს მებრძოლ რაზმს, იუსკევიჩ კრასკოვსკის მეთაურობით, „ხალხის რისხვის კომორას“ და დამსჯელ რაზმებს. მებრძოლი რაზმი და, „ხალხის რისხვის კომორა“ ამსრულებელი ორგანოებია. დამსჯელ რაზმს უმთავრესი საბჭო რუსეთის სხვადა-სხვა ადგილებში ჰგზავნის ადგილობრივ სამოქმედოდ და შავ-რაზმელი მწერლობის გასავრცელებლად. საბჭოს ხაზინა საკმაო დიდი ყოფილა. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში იმას ორასი ათასი მანეთი დაუხარჯავს სხვა-დასხვა საჭიროებისათვის.

დღეს „რუსთა კავშირი“ გასაჭირშია ჩავარდნილი გერცენშტეინის მკვლელთა გამომძღვანების გამო და ყოველნაირ საშუალებით სცდილობს გადაარჩინოს მკვლელობაში მონაწილე თავისი წევრები. „რუსთა კავშირის“ მეთაურები ამ ჟამად სცდილობენ, წარჩინებულ მოხელეთა დახმარებით, თვით ხელმწიფე ინახულონ და საქმის მოსპობა სთხოვონ.

გაზ. „ტოვარიშჩი“ იუწყება: გამომძიებელის კომერაში მოწვეულ იქმნენ გაზ. „რეჩ“-ის რედაქტორი და იუსკევიჩ-კრასკოვსკი, რომელმაც ხსენებული რედა-

---

ეს კიდევ არაფერი: თვით საზოგადოებრივობის გენეზისი არავითარის „საწარმოო ძალებ-თ“ არ განისაზღვრება, რადგან საწარმოო ძალები თვით არის სოციალური ცნება, შექმნილი უკვე განვითარებული **კაცთა საზოგადოებისაგან.** საზოგადოებრივობა აგრეთვე კაცის შემოქმედება არ არის,—იგი ადამიანს მემკვიდრეობით აქვს გარდმოცემული, როგორც საუკეთესო წესი არსებობისათვის ბრძოლისა, როგორც ბრძოლასა და შერჩევაში მოპოვებული ხასიათი (Le caractère acluis). კაციდან რომ დავიწყოთ და წარსულის უკუნში გავაბათ დიუსრულებელი ჯაჭვი იმ არსებულ და დაღუპულ საზოგადოებრივ ცხოველთა შორის, რომელთაგანაც კაცს მემკვიდრეობით აქვს გარდმოცემული საზოგადოებრივობა, ათასობით საუკუნოები არ გვეყოფა საზოგადოებრივობის დროის სიდიდის განსაზომად. აგრეთვე თვით „ცნობიერება“ ადამიანისა ვითარდებოდა იმ პირობათა მიხედვით, რომელშიაც ადამინი მოქმედებდა თავის ისტორიის შორეულ წარსულიდან; ეს ცნობიერება ყოველთვის შეადგენდა მის „არსების“ განუყოფელ ნაწილს, და მისი განსაზღვრა ადამიანის ცხოვრების წესით, როგორც ეს მარქსსა ჰგონია, ყოვლად შეუძლებელია, რადგან იგი განუყოფელია თვით ადამიანის არსებისაგან და ცხოვრების წესისაგან, აგრეთვე სწორედ ამ „ცნობიერებას“ უთამაშნია უმთავრესი როლი თვით საწარმოო ძალთა შექმნაში.

დავიხსომოთ კარგად ეს ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ: 1) თვით გენეზისი საზოგადოებრივობისა უფრო შორეულია, ვიდრე საწარმოო ძალთა წარმოშობა და განვითარება; 2) თვით ცნება „საწარმოო ძალნი“ სოციალური ცნებაა,—იგი შექმნილია თვით ადამია-

---

*) K. Marx. Zur Kritikzetc.

ქტორი სამართალში გამოიწვია ცილისწამებისათვის. გამომძიებელს შერიგების თაობაზე წინადადება მიუცია მათთვის. ამ დროს ოთახში ყოფილა გერცენშტეინის მკვლელობის ორი მოწმე. იმათ უცვნიათ იუსკევიჩ-კრასკოვსკი და გამოუცხადებიათ სასამართლოში, ეს სწორედ ის კაცია, რომელიც ეწვია სასტუმროში გერცენშტეინის მკვლელობაში მონაწილე ლარიჩკინს, ალექსანდროვს და სხვებს და იმათთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული.

✦ მღვდლის პეტროვის დანაშაულის შესახებ. მოსკოვის გაზეთებში ადგილობრივ სამღვდელოთა ერთ ჯგუფისაგან ხელ-მოწერილი პროტესტი დაიბეჭდა, სადაც შემდეგი საინტერესო ცნობებია მოთავსებული. პეტროვის დანაშაულის გამოსასარკვევად უმაღლეს სამღვდელოებას თავისუფალი კრება კი არ მოუწვევია, არამედ განზრახ არჩეულ სამღვდელო პირთათვის მიუმართავს და ისინი შეუკრებია თავისი მსხვერპლის შესახებ წინ და წინ მსჯავრის დასადებად. როგორც მღვდლების ხელნაბულ ჯგუფის პროტესტიდან სჩანს, უმაღლეს სამღვდელოებისაგან მოწვეული კრება — პეტროვის მოწინააღმდეგეთა და არსებულ წეს-წყობილების დაცველთაგან ყოფილა შემდგარი და რასაკვირველია ისინი ან დაზოგავდნენ პატივცემულ მოღვაწეს — პეტროვს.

✦ მთავრობამ შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტები პიროვნების ხელ-უხლებლობის და კერძო მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვის შესახებ. განუზრახავს აგრეთვე ადმინისტრატიული წესით გადასახლების შეზღუდვა. იმ გუბერნიებში, სადაც სამხედრო წესები ან განსაკუთრებული დაცვაა გამოცხადებული, უმაღლეს ადმინისტრაციას უფლება ეძლევა მხოლოდ თავის გუბერნიიდან განდევნოს შენიშნული პირი და სხვა.

კორესპონდენტთა საყურადღებოდ.

რედაქცია სთხოვს თავის კორესპონდენტებს და ყველას, ვისაც კი ეს შეუძლიან, მოგვაწოდონ სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ გლეხობისაგან ამომრჩევლების არჩევის დროს რამდენი **რწმუნებული** გლეხი რომელს პარტიას ეკუთვნოდა და რომელი პარტიის კანდიდატმა რამდენი მიიღო თეთრი და შავი. ცნობები უნდა დაიწეროს, როგორც ნაჩვენებია აქვე:

ცნობა № 1.

. . . . . (ამა და ამ) მაზრაში
გლეხთა ამომრჩევლების არჩევის დროს **რწმუნებული** იყო სულ . . (ამდენი)
ამ რიცხვში
სოციალ-ფედერალისტი . . (ამდენი)
სოციალ-რევოლიუციონერი . . (ამდენი)
სოციალ-დემოკრატი . . (ამდენი)
სხვა პარტიის . . . . (ამდენი)
უპარტიო . . . . . (ამდენი)

ცნობა № 2.

. . . . . (ამა და ამ) მაზრაში
გლეხთა ამომრჩევლების არჩევის დროს:

	თეთრი	შავი
სოციალ-ფედერალისტის კანდიდატმა მიიღო		
სოციალ-რევოლიუციონერების კანდიდ.		
სოციალ-დემოკრატების კანდიდ.		
სხვა პარტიის კანდიდ.		
უპარტიო კანდიდ.		

საჭიროა ეს ორივე ცნობა, რადგან შეიძლება ერთი მეორეს არ ეთანხმებოდეს: მაგალითად, შეიძლება სოც.-ფედერალისტი გლეხი 10 იყოს, მაგრამ მათ კანდიდატს ხმა მისცეს რევოლიუციონერებმაც და სოც.-ფედერალისტმა ამომრჩეველმა მიიღო 15 ხმა. თუ რომელისამე ნაწილის რწმუნებულები არ გამოცხადდნენ, ეს უნდა აღინიშნოს (ისიც, თუ რამდენი არ გამოცხადდა და რა მიზეზით). ცნობები უნდა იყოს ნამდვილი და კარგად შემოწმებული.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-14 №-ში მოთავსებული იყო ღია წერილი ბ-ნთ ვ. სოზიაშვილისა, ალ. ვარაზაშვილისა, ნიკო ტომარაძისა და სპ. ლებანიძისა ტფილისის ქართულ პურის მცხობლების მიმართ. ამ წერილში მათ მოკლედ დაახასიათეს თავიანთი მოღვაწეობა ამხანაგობის საქმეში. ნება მოგვეცით, მკითხველს მოკლედ გავაცნოთ ამ საქმის ვითარება. ტფილისის პურის მცხობლები გასაჭირში იყვნენ ადგილობრივ მეფქვილეების ხელში. ამის გამო მათ განიზრახეს შეერთება, დაარსეს ამხანაგობა და უმეტესობამ გამოიღო შეძლების დაგვარ ფული, რომლის ჯამიც უდრის 11 ათასამდე მანეთს. მოთავეთ და გამგეებად ამხანაგობამ არჩია სამი კაცი: ალ. ვარაზაშვილი, ნ. ტომარაძე, ს. ლებანიძე, ხოლო ვაჭართა ბიურომ მოაწოდა მათ წინამძღოლად ვ. სოზიაშვილი. მოგროვილი თანხა ამხანაგობამ გადასცა მათ და ისინიც შეუდგნენ ფქვილის დაკვეთას და საქმის წარმოებას. განვლო ოთხმა-ხუთმა თვემ და გამგეობამ აცნობა ამხანაგობას, რომ საქმემ დიდძალი ფული იზარალოო. ამ გარემოებამ შეაშფოთა მთელი ამხანაგობა, რადგან მოსალოდნელი იყო მოგება და არა ზარალი. სწრაფლად არჩეულ იქმნა კომისია. კომისიაში მოვყევით ჩვენ ქვეყორე ამის ხელის მომწერნი. შევუდექით საქმის გამოკვლევას ბუხჰალტრის პავლე ი. კონსტანტინოვის თანდასწრებით, და აღმოვაჩინეთ შემდეგი: 1. ძველ გამგეობას უწარმოებია საქმე ორი სახელით — ამხანაგობისა და კერძოდ თავის სახელით; 2. ამხანაგობის უმთავრესი კანტორა ბ-ნ სოზიაშვილს მოუთავსებია საკუთარ ბინაზედ და არა ფქვილის საწყობში, როგორც ეს უნდა ყოფილიყო. 3. საწყობში 11,000 მანეთიდან აღმოჩნდა მხოლოდ 2,500 მანეთის საქონელი; 4. ძველმა გამგეობამ ვერ მოგვაწოდა საბუთები ზარალისა; დავთრები აღმოჩნდა ყალბი და უვარგისი. შემდეგ კომისიამ აღმოაჩინა დაკარგული 3 ვაგონი ფქვილი, რაზედაც გამგეობამ აღუთქვა მისი აღმოჩენა, მაგრამ ვერ მოიყვანა სისრულეში. ეხლა ჩამოშორებულნი არიან ჩვენგან, კასსა მიითვისეს, ამხანაგობის ბარათები ფაბრიკებთან დაკვეთილ ფქვილისა თან გაიყოლიეს და მთელი ამხანაგობა დასტოვეს უფქვილოდ. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ჩაგვაბარონ უპირველესი თანხა თავის მოგებით. უკეთუ არ შეასრულეს ეს მოთხოვნა, იძულებულნი გავხდებით მივმართოთ მთავრობის სასამართლოს*).

თავმჯდომარე გ. ნ. **ᲬᲬᲘᲠᲘᲫᲚᲐᲫᲔ.**
ქრისტაფორ გრიგოლის ძე **ᲝᲛᲛᲐᲫᲔ.**
ალექსი **ᲬᲕᲐᲜᲘ.**

*) საქმის გამოკვლევამდე ვსპობთ ამ საქმეზე კამათს. რედაქცია.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘ

25 იანვარი.

ᲞᲔᲢᲔᲑᲣᲠᲒᲘ. სახელმწიფო საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა განიხილა გურკო-ლიოვალის საქმე და გურკო-ლიტვინოვის მიერ შემოტანილ პასუხითურთ გამომძიებელს გარდასცა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. რუსის პატრიოტებმა და რუსის საზოგადოების კავშირმა გერმანიის იმპერატორს ვილჰემს დეპეშა გაუგზავნა და არჩევნების რეიხსტაგის სასურველად დაბოლოვება მიულოცა.

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ. მეჯლისის წევრები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ისინი შაჰის ტახტზე ასვლის დღესასწაულზე არ მოიწვიეს. მეჯლისის ბოლო სხდომები ძეტად ცხარეა. სამინისტროს აშკარა უკმაყოფილებას უცხადებენ. განსაკუთრებით აითვალისწუნეს დამოუნის მინისტრი ბელგიელი ნაუსი მეჯლისის სხდომას ბევრი ხალხი ესწრება.

ᲚᲝᲜᲯᲘ. 9 დღის შეჩერების შემდეგ პარტიულ ნიადაგზე ჰკვლელობა ისევ განახლდა. დასჭრეს ორი კაცი, ერთი მძიმედ, მეორე მსუბუქად.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მილიონერმა ოზერისმა პასტერის ინსტიტუტს 25 მილიონი უანდერძა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 15 აპრილისთვის ლონდონში უნდა მოხდეს ახალი შენობის წარმომადგენელთა კონფერენცია. თავმჯდომარედ იქნება პრემიერ ბანერმანი. კანადა, ავსტრალია, ახალი-ზელანდია და სხვა ახალშენები თავიანთ პრემიერებს გამოჰგზავნიან. ინდოეთი და ტრანსვალი პირველად მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენცია, სხვათა შორის, გაარჩევს შემდეგ საკითხებს: საერთო საიმპერიო საბჭოს დაარსება; რა ხარჯი უნდა გასწიონ ახალშენებმა ინგლისის ფლოტის შენახვაში; რა ურთი-ერთობა უნდა ჰქონდეს მეტროპოლიის და ახალშენების ჯარს იმპერიის დაცვის საქმეში; შეამოკლონ თუ არა საერთო სადამოენო ტარიფი. უკანასკნელი მუხლი ყველაზე უფრო სადაოა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უწმ სინოდის ობერ-პროკურორმა გადასცა მინისტრთა საბჭოს განსახილველად თავისი შემუშავებული აზრი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ. იგი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში უეჭველად განხორციელებული უნდა იქმნას უმაღლესად ბოძებული სარწმუნოების თავისუფლება, ხოლო მთავრობა მოვალეა ძირითად კანონების ძალით დაიცავს მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოება. შინაური წეს-წყობილებისა და გამგეობის მხრივ მართლმადიდებელ სამღვდელოებას სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს იმ პირობით, რომ საეკლესიო განკარგულებანი საზოგადო კანონების წინააღმდეგი არ იყოს. მთავრობა მთავლია ყოველ-ნაირად ხელი შეუწყოს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ანვითარებს, ახალ სამრევლო სკოლების გახსნას, სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘ. ირკუტსკის სადგურზე 50,000 მანეთის საქონელი მოუპარავთ.

ᲛᲘᲢᲐᲕᲐ. ერთი ლატიში და ერთი ებრაელი სამხედრო სასამართლოს განაჩენთ დახვრიტეს. ლატიშს ბირზნიაკს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

ᲙᲔᲜᲘᲡᲑᲔᲠᲒᲘ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სწავლის ფულის შეუტანლობისათვის ბევრი რუსი სტუდენტები გამოურიცხავთ. კენისბერგშიაც იგივე მომხდარა.

რედაქტორ-გამომცემელი
ᲘᲕ. Ი. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ

Товарищество Кахетинскихъ Виноградарей „Дзиоба“ въ Тифлисѣ. Головинскій проспектъ № 103б. Телефонъ № 1036.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ. (100—13)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ Ლ. ᲔᲨᲠᲔᲘᲑᲔᲠᲘᲡᲐ

ᲒᲐᲓᲕᲘᲓᲐ ერევნის მოედანზე (ბუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—56)

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა

და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
ФСФИ
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ

ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲡ

ᲜᲐᲠᲓᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ

საავადმყოფოს სახლის „ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲘᲚᲚᲔᲠ“-ის

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 40 ᲘᲥᲔᲪᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ

✦✦✦✦ ᲢᲧᲐᲕᲔᲣᲚᲝᲒᲐ ✦✦✦✦

რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—ნ.—45)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.